# გზა ხსნის

1987



დავით გარეჯელის საზოგადოების შეჩვეული სიტყვის ორგანო. №-1

საქართველო...
თაბადეშიდან დაბერებამდე შენი ტყისა და ყვავილთ მიუწური,
მივსდევ სვე-ბედის შრაანება-კარნახს, საკუთარ ქოხში შემოხიზნული;
თუ გაჭირვებით, თუ დალხინებით, - მივყვები წაკვეთს მილიკთა გზაწვრილს
და სუნთქვას შენსას მივაყურადებ, - უსასრულობის ზესკნელში აპრილს!

გოდერძი გოდერძიშვილი.



...სიტყვამ მოიტანა და - მგონია რომ როდესაც ვამბობთ რომ ამ ქვეყანას არაფერი არ ეშველება და ყველაფერი ისევ მეელებურად იქნებათ,- საკუთარ იმედსაც ვიკლავთ და ეჭვსა და უიმედობასაც ვთესავთ გარშემო. ზოგიერთს, პატრიოტულ მოძრაობაო,- საქართველოს მმართველობასთან ბრძოლა მიაჩნია /და ზოგიერთ შემთხვევაში და ზოგიერთ რაიონში - არც მგონია რომ სცდებოდნენ/... მაგრამ მე მიმაჩნია რომ მათთან ბრძოლას მოვასწრებთ - თუ ისინი რა თქმა უნდა დაიმსახურებენ ამას მაგრამ ჯერ ხომ დაჭიქრება და მიცურალება გვმართებს /ეს ჩემი აზრია/. დღეს ვინ არ იცის რომ ზოგიერთ საკითხებში თვითონ მათ არ ეკუთვნით საკუთარი თავი. იქნებ ისინიც დადგნენ ჩვენს გვერდით ისე,- როგორც მათ ეს შეუძლებათ /და თუ ეს ასე არ ჩამოხდება, მაშინაც მოვასწრებთ მათ მიმართ პრეტენზიების გამოთქმასა და უკომპრომისო ულტიმატუმების წაყენებას და თუ გნებავთ უფრო მეტსაც.../. შეიძლება მმართველი აპარატის წარმომადგენელმა რაიმე აქციაში მონაწილეობა ვერ მიიღოს მაგრამ თავისი ქართველობითა და მამულიშვილობით მაქსიმალურად დაგვეხმაროს ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობაში და თუ ასე იქნება, მაშინ ჩვენს დატანჯულ სამშობლოსაც ეშველება და არც ჩვენ დავიწყებთ ერთმანეთში "შუღლიობას". ერთი ხელის მოსმით ყველაფრის წაშლა ადვილია მაგრამ არ არის ქრისტიანული... არც ერთი ადამიანი არ დაბადებულა ღმერთი დედამიწაზე, - რომელსაც დაუმსახურებლად გაკიცხვა - გულს არ სტკენოს. ქრისტიანი კაცი ღვთიერი, ადამიანის მოყვარული და პატივისმცემელი უნდა იყოს. ... უნებლიედ,- დავით გარეჯელის საზოგადოების ერთ-ერთი მიმართულებაც უკვე მოგახსენეთ.

მინდა პატარა მაგალითი გითხრათ და ანით ჩემი ორიენტაციაც გაცამართლო: როდესაც ორი ძმა იზრდება,- ერთი საბავშვო ბაღში დადის,პატარაა, ხოლო მეორე სკოლაში დადის და პატარაზე გაცილებით დიდია,- მშობლები ყოველთვის დიდს ეტყვიან: "შენ უნდა დაუთმო, შენ უფროსი ხარ, შენ მეტი გესმისო"... მაშ ჩვენს შორის ვინც დიდია და ვისაც მეტი ესმის იმან უნდა დაუთმოს და თუ ყველა დიდები ვართ,- იმას რა სჯობია. ძალა ერთობაშიაო,- ნათქვამია. მეფე დავით აღმაშენებლის საქართველო ერთიანობითა და ერთსულოვნებით იყო ძლიერი. დღეს კი, ისე როგორც არასდროს, ჩვენ, ყველას, სათითაოდ,- ერთიანობა და ერთსულოვნება გვჭირდება. ღმერთმა დაგვიფაროს მაგრამ თუ ერთმანეთისა და საერთო საქმის მიმართ სიმძიმით არ ვიმოქმედებთ,- შეიძლება მალე სხვისი დასალიერი გავხდეთ. .

ცოტა სიტყვა გამიგრძელდა.

კიდევ ერთ მიმართულებაზე შევჩერდები და ამჯერად მეტს აღარ შეგაწყენთ თავს რადგან ჩვენი ყველა მიმართულების გაშიფვრა კაი დიდ დროს წაგვართმევს და ზოგი შემდეგი ნომრებისთვის რომ გადავდოთ,- არა მგონია წინააღმდეგი იყოს ჩვენი მკითხველი. ერთი სიტყვით, ჩვენთვის, იმის გარდა რაც ეკლესიას და ქრისტიანობას შეეხება,- არ შეიძლება საჩივრის დაწერა და ხელის მოწერა. არ შეიძლება ვინმეს დაბეზღება-დასმენა,- მოსისხლე მტერიც რომ იყოს, ასევე არ შეიძლება ჩვენი მხრიდან კაცის ხალხში გათახვა-გაკრიტიკება /კიდევ ვიმეორებ: თუ მისი დანაშაული ღმერთს, ეკლესიას და ქრისტიანობას არ ეხება/.

მაშ როგორ აპირებთ ბრძოლასო,- იკითხავს ნებისმიერი მოაზროვნე კაცი.

## პატივცემულო თანარემამულენო!

დავით გარეჯელის საზოგადოება მოწოდებულია პრაქტიკულად განახორციელოს ქრისტეს მოძღვრებათა მორალური არსი - საქართველოს რაიონებსა და სოფლებში. დავით გარეჯელის საზოგადოების ძირითადი აუდიტორიაა საქართველოს რაიონები და სოფლები რადგან დიდ ქალაქებში, როგორიცაა: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და სხვები,- უკვე მიმდინარეობს და ალბათ საკმაოდ მაღალ დონეზეც,- ეროვნულ-პოლიტიკური და ქრისტიანული მოძრაობა.

დავით გარეჯელის საზოგადოების ერთ-ერთი სამოქმედო მიმართულება,- იმ დანარჩენ მიმართულებათა შორის - არის სოფლებისა და რაიონების სულიერი და მორალური დაახლოება საქალაქო ეროვნულ-პოლიტიკურ, ქრისტიანულ მოძრაობასთან და ასევე რა თქმა უნდა - ერთმანეთთანაც.

ჩვენი საზოგადოება საქართველოს ყველა რაიონში და შეძლებისდაგვარად ყველა სოფელში გამართავს სალამოს თემაზე: "მოკლედ - ღმერთის, ქრისტეს და ქრისტიანობის შესახებ",- სალამოს დამთავრების შემდეგ კი გაიმართება კითხვა-პასუხი და გაიცემა პასუხები თითქმის ყველა კითხვაზე, რითაც მცირე წვლილს ჩვენც შევიტანთ ერის სულიერად შეკავშირებასა და გაერთიანებაში.

თავისთავად იბადება კითხვა: თუ ჩვენ მხოლოდ ინფორმაციის მისაწოდებლად ვართ მოწოდებულნი, მაშ რატომ არ გავერთიანდებით რომელიმე ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიაში ან საზოგადოებაში და რატომ არ ვიმოქმედებთ მათი სახელით? რაღა საჭიროა ახალი საზოგადოების შექმნა?.. - საქმე შემდეგში გახლავთ: ჩვენ, ესე-იგი დავით გარეჯელის საზოგადოების გამგეობას, არა გვაქვს გარანტია, რომ მოქმედების დროს არ დავუშვებთ რაიმე,- თუნდაც მექანიკურ შეცდომას - რომელიმე მოქმედების დროს. არც იმისგან ვართ დაზღვეული - რომ ჩვენი დიდებითი საქმის კეთება - ყოველთვის დადებითად გამოჩნდება შორიდან. ამიტომ, იმ უხერხულობების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სხვისი სახელით მოქმედების დროს, ჩვენ ვიმოქმედებთ ისევ ჩვენი, დავით გარეჯელის საზოგადოების სახელით. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, რაიმე საზოგადოება უნდა შექმნილიყო და მისი სახელით გვემოქმედა. ასე წარმოიშვა დავით გარეჯელის საზოგადოების შექმნის იდეა.

ჩვენ, რა თქმა უნდა ორგანიზაციულ კავშირში შევალთ ყველა იმ პარტიებთან და საზოგადოებებთან, სადაც უფრო მეტად ჩავთვლით საერთო საქმისათვის საჭიროდ,- თანამშრომლობას.

საერთოდ კი, ჩვენი საზოგადოების ძირითად მიმართულებებსა თუ სამოქმედო გეგმებს,- ამომწურავად თვითონ მომავალი დღეები, თვეები და წლები გვიჩვენებს. რათა საერთი კია: ჩვენ გავაფორებით, სიცოცხლის დაუზოგავად ვიბრძოლებთ,- რათა საქართველოში - ყველა ფიქრი, ყველა გრძნობა, ყველა საგანი, ყველა სიტყვა და მოქმედება, ყველა ადამიანი /ეს იქნება ქალი, კაცი, ბავშვი თუ მოხუცი/ დაუბრუნდეს თავის პირვანდელ, ნამდვილსა და საოცნებო ადგილს, საიდანაც იძულებით იქნა ამოვარდნილი ათეული წლების განმავლობაში.

ძნელია ილაპარაკო მომავლის გეგმებზე, რადგან - იმ დროში როცა ყველაფერი თავდაყირა დგას ძნელია ადამიანების /გულგატეხილი და ათასჯერ მოტყუებული ადამიანების/ დარწმუნება სულ უბრალო და მარტივ ჭეშმარიტებებში.



ახლავე მოგახსენებთ: -საერთოდ, როდესაც ლაპარაკობენ თუნდაც შენი ცუდი საქციელის გამო, - შენი ცოდვები მათზე გადადის და შენ განთავისუფლებს... ჩვენ ჩვენი ცოდვებიც გვეყოფა და აღარ გვინდა სხვისი ცოდვებითაც დავიმძიმოთ ისედაც დამძიმებული სული... ბრძოლით კი ვიბრძოლებთ და აი როგორ: შევდივართ იმ ცოდვის ჩამდენ კაცთან "კაბინეტში" და "ვთხოვთ" გამოასწოროს /რაც შეიძლება სწრაფად/ თავისი ცოდვა ანუ შეცდომა. დამნაშავე ხედება-რა რომ ჩვენს მეტმა ეს ამბავი არავინ არ იცის /საჯაროდ გაკიცხვა გვაქვს მხედველობაში/,- ცდილობს რაც შეიძლება მოკლე დროში და გულწრფელად გამოასწოროს ჩადენილი /ან განზრახული/ დანაშაული. სამწუხაროდ ალბათ არიან საპირისპირონიც, რომლებზეც დადებითად არ მოქმედებს ქრისტიანული კანონები. მათ რა თქმა უნდა გადავცემთ ისეთ მართალ და შედარებით ულმობელ გაერთიანებებს, - სადაც ლოთი აუცილებლად იქცევა კურდღლად. მათ, რომელნიც არ ემორჩილებიან ქრისტიანულ და ჰუმანურ კანონებს,- რა თქმა უნდა ეგრეთწოდებულ - "ალოცხვაზე" აჰყავთ საკუთარი თავი /ალბათ სამუდამოდ/,- მაგრამ ღმერთი იქნება მოწმე რომ ჩვენ ამ საქმეში მძლიანად უცოდველნი ვიქნებით და უფრო მეტიც: ჩვენ მათ მაინც მოვუწოდებთ ქრისტიანობისაკენ... რა თქმა უნდა თუ ისინი უკუნითი-უკუნისამდე მოიშრიან იმ გზას, რომლითაც მათი გაჭირვების შემთხვევაში ჩვენთან უნდა მოიყვანოს,- ჩვენი დახმარების იმედი ნორმალურ ადამიანებს აღარ უნდა ჰქონდეთ.

ასეთია ჩვენი ძირითადი მიმართულებების მცირე ნაწილი.

ჩვენ რა თქმა უნდა არ ვაპირებთ,- ჩვენი ზომაგადასული ჰუმანიურობით თვალში ცრემლი მოვადინოთ ზოგიერთებს /მათ ჩვენ შეიძლება შევებრალოთ კიდეც/,- მაგრამ ერთ საიდუმლოს გავანდობთ ჩვენ მათ: ნუ აჩქარდებიან ჩვენს შეჯასებაში. ჩვენ ხომ ქრისტეს გზით მივდივართ და ჯერჯერობით არავითარი უფლება არა გვაქვს - მაცხოვრის პირველად მოსვლის კანონებს გადავუხვიოთ... ჯერჯერობით ყველა ქართველი უნდა ცდილობდეს გახდეს ღირსი ერთმანეთის ნდობისა, სიყვარულისა და პატივისცემისა,- ხოლო როდესაც მეორედ მობრძანდება მაცხოვარი იესო ქრისტე,- მან თვითონ იცის როგორ იმოქმედებს და ჩვენც რომ უსიტყვოდ დავეთანხმებით,- ამაში არც არსებობს და არც არსებობდა ორი აზრი.

სიტყვამ მოიტანა და მინდა ჩვენს მკითხველს ორიოდე სიტყვით მოვახსენო თუ როგორ მესმის პირადად მე,- ქრისტეს მეორედ მოსვლა...

ჩვენ ყველამ ბრწყინვალედ ვიცით /და თუ არ ვიცით უნდა ვიცოდეთ/,- რომ იესო ქრისტეს,- სიკეთისა და სიმართლის მეტი არაფერი უკეთებია და დაუთესია ამ ცოდვილ პლანეტაზე... ეს იყო მისი პირველად მოსვლა... ჩვენ კი, ჩვენებრივმა ადამიანებმა, იმის მაგიერ რომ გაგვეგო ვინ მოგვევლინა და მის წინაშე მუხლი მოგვეყარა, დევნა დავუწყეთ ზე-კაცს, რომელსაც ჩვენი ცხოვრების კანონების დაწესება სურდა... სცემდა და არ შევმოსეთ, შიოდა და არ ვაჭამეთ, სწყუროდა და არ დავალევინეთ. ჯვარზე გავაკარით და როდესაც დაჭრილმა და ნაწამებმა ჩვენი დიდსულოვნებით - წყალი ითხოვა, ნაღველში შეზავებული ძმარი მოვუსვით ტუჩებზე... და ყოველივე ამის შემდეგ, ზოგიერთ ქრისტიანობაში ჩაუხედავ კაცს, შეიძლება ეგონოს: -აი მოვა ქრისტე მეორედ და რაც ცოდვები მაქვს, იმდენ მეტი ცოდვების [illegible] უფლებას მომცემსო, რაც მიწაში დამარხული ფული მაქვს,- ერთ იმდენს [illegible] ტებსო და ასე შემდეგ. ჩვენ ველოდებით ქრისტეს თუმცა არ ვიცით [illegible] ხილვის

შემდეგ ვის რა მოგველის... ისე კი, მისი მოსვლა ცეცხლითა და მახვილითაა ნაწინასწარმეტყველები. ცეცხლი და მახვილი... რა ადვილი და უბრალოდ სათქმელი სიტყვებია მანამდე,- ვიდრე თვითეული კაცთაგანი არ შეიგრძნობს მათ მნიშვნელობას.

თუ უკვე არ გადავღალე მკითხველი,- ჩვენი გაზეთის ყველა ნომერში ვეცდებით მივაწოდოთ ჭეშმარიტი ინფორმაცია - ღმერთის, ქრისტეს და ქრისტიანობის შესახებ.

ახლა კი ისევ მიწიერ სატკივრებსა და პრობლემებს დავუბრუნდეთ რადგან მკითხველთა ალბათ უმეტესი ნაწილი უფრო მიწისაა ვიდრე ცისა და მეორეც: ალბათ ოჯახის წევრები და სხვა ახლობლები კაცისაგან უფრო მატერიალური მადლის შემოტანას მოითხოვენ ვიდრე სულიერისას და ეს ბუნებრივიცაა რა თქმა უნდა... ამ ჩვენს დატანჯულ სამშობლოში კი,- არის გარკვეული ნაწილი იმ მამაკაცებისა, რომელნიც ვერაფრით ვერ მიდიან იქამდე რომ ერთი ჩვეულებრივი, ნორმალური, უპრეტენზიო ოჯახი შექმნან და გამოკვებონ... თუმცა ისინი, არავისზე ნაკლებნი არაფრით არ არიან თუ ეს პირიქით არ არის. ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როდესაც ჩვენს მიწაზე აღზრდილი უცხო ერები რომლებიც არც კი კადრულობენ/ან არ იციან/ ქართულ ენაზე ლაპარაკს, მეშვიდე შვილს აწყობენ ინსტიტუტში ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და არც ოჯახებში არ აკლიათ არაფერი. ეს თემა მარტო ჩემი სალაპარაკო თემა არ არის... თუ ჩვენ გვყავს მთავრობა და „ჯერ არის ის "ეგრეთწოდებული მთავრობა",- აუცილებლად უნდა მოგვაქციონ ყურადღება თორემ უკვე მრავლადაა საქართველოში ისეთი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც ვერ ბედავს ოჯახის შექმნას მატერიალური მდგომარეობის გამო.

ჩვენ ვთხოვთ ჩვენს მკითხველებს,- მოგვწერონ თავიანთი აზრი, გვიგზავნით ფაქტები /გაზეთის ბოლოს მითითებულია ჩვენი მისამართი/ და ყველაფერი რაც ეხება დღევანდელ მდგომარეობასა და დღევანდელ სატკივრებს.

პატივცემულო თანამემამულენო: დარწმუნებულნი იყავით,- რომ არც ერთი თქვენი წერილი არ დარჩება უპასუხოდ ან რეაგირების გარეშე. მოგვწერეთ რაც შეიძლება ბევრი. ველოდებით თქვენს გამოხმაურებებს.

მოგიწოდებთ გაწევრიანდეთ ჩვენს საზოგადოებაში ფოსტით. ჩვენ /ასევე ფოსტით/ რეგულარულად მოგაწვდით ჩვენს გაზეთებს, სხვადასხვა ინფორმაციას და წელიწადში რამდენჯერმე ალბათ შევიკრიბებით იმ ადგილებში, სადაც ჩვენმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა წინაპრებმა,- ქვაში, ფერში და ბგერაში გააცხადეს ქართული გენის გამუდმებლობა და მარადიულობა.

მაღალმა ღმერთმა დაგლოცოთ. ღიდა ღვთისმშობელი იყოს მფარველი თქვენი და სრულიად საქართველოსი.

საქართველო...

მე აღარ მინდა გახსენება შენი წარსულის, დღევანდელობის ქვესკნელთში შენ ხარ ჩასული. მხოლოდ ერთი-და დაგრჩა ძველი, მამა-პაპური, ვაზი, ენა და მიწა, უკვე მცირე მამული. მე აღარ მინდა შენი კვნესა ყურში მესმოდეს, მოშხამულ ისარს, შადიმანი გულში გესროდეს. რა დროიდანაც იუდას და ეშმას შევები, ავად დამჩემდა შენზე ფიქრი, ღამისთევები... შენი აღმასვლა დაიწყება ზედარულო მაშინ, როს გაიღვიძებ, ზე აღგები და მკლავებს გაშლი.

დგს-ის გამგეობის თავმჯდომარე გოდერძი გოდერძიშვილი.

საქართველო 1801 წლიდან დღემდე.

ძვირფასო თანამემამულენო,.. საქართველოში მძლავრად მიმდინარეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც მრავალი მიზანი აქვს. ძირითადი და უპირველესი კი არის საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენა, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს შექმნა, რადგანაც ქართველი ხალხის წინააღმდეგ შექმნილი მრავალი პრობლემატიკური სიტუაცია ჩვენის ღრმა რწმენით, არ გადაწყდება მისი კავშირში ყოფნის პერიოდში. ეს კი უქადის უკვე უფსკრულის წინაშე მისული ჩვენი სამშობლოს შემდგომ დაკნინებასა და დაღუპვას.

ქართველი ხალხის წინაშე დგას მრავალი ურთულესი პრობლემა,- რომელთა დიდი უმრავლესობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. ეს პრობლემებია: პოლიტიკური, ეკონომიური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სულიერი, მორალური და მრავალი სხვა.

საქართველო რომლის სახელმწიფოებრიობა არსებობდა თითქმის ოცდაათი საუკუნის განმავლობაში, რომელსაც ჰქონდა და აქვს დიდი ტრადიციები, კულტურა და ისტორია, დღეს გვევლინება უბრალო კულტურულ-ეკონომიურ ავტონომიად /ისიც შეზღუდული ფორმით/,- ე.წ. სუვერენული მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით. რა თქმა უნდა ამ მდგომარეობას ქართველი ხალხი ვერ შეეგუება. იგი ყოველთვის იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის და ეს ბრძოლა არ შეუწყვეტია 1921 წლის შემდეგაც,- როდესაც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა პირდაპირი აგრესია შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით და საბჭოთა წეს-წყობილების ექსპორტირება სამხედრო-ოკუპაციის საფუძველზე. ქართველმა ხალხმა დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე არ უნდა დაუშვას კიდევ ერთი შეცდომა რომელმაც შეიძლება ჩვენი სამშობლო საქართველო მოაქციოს ისეთ ჩიხში,- რომელიც კატასტროფას უქადის მას... ამიტომ აუცილებლობით საჭიროდ მიგვაჩნია ის რეალური გზები რომლითაც ჩვენი ქართული ეროვნული სამყაროდან გამომდინარე საერთაშორისო სამართლისა და კანონმდებლობაზე დაყრდნობით ვიბრძოლებთ ეტაპობრივად ჩვენი სამშობლოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, რაც თავისთავად ნიშნავს მის იურიდიულად კანონიერ გასვლას /რაც აგრეთვე დამკვიდრებული აქვს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით/ თავისუფლად გავიდეს სსრ კავშირის შემადგენლობიდან.

ეროვნულ- განმათავისუფლებელ მოძრაობაში ღრმად ჩაწვდომის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ და კონკრეტულად მიმოვიხილოთ საქართველოს საერთო მდგომარეობა 1801 წლიდან დღემდის.

1801 წელს საქართველო-რუსეთის 1783 წლის ხელშეკრულების ყველა მუხლის დარღვევით ჩვენი სამშობლო დაპყრობილ იქნა მეფის რუსეთის მიერ, რომელმაც მოსპო მისი სახელმწიფოებრიობა და ქართული მიწები გააერთიანა ცალკეულ, ერთმანეთის მიმართ მოწყვეტილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში /თბილისის, ქუთაისის, ბათუმის გუბერნიები და სოხუმის და ზაქათალის ოლქები/.

მეფის რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და დამონების პირველი დღიდანვე დაიწყო გაძლიერებით "რუსიფიკაციის" პოლიტიკა და მრავალი სხვა



არაადამიანური მოქმედებანი, რაც იწვევდა ქართველი ხალხისა და საქართველოს სულიერ გადაგვარებასა და ფიზიკურ მოსპობას, მაგრამ ისტორიულად მრავალ ბრძოლებსა და გაჭირვებაში გამობრძმედილი ქართველი ხალხი გადარჩა. მეცხრე საუკუნის დასაწყისში მას შერჩა ის უშრეტი ენერგიის მძლავრი პოტენცია რათა დაეწყო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რისთვისაც ბრძოლა არ შეუწყვეტია მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში /1804 წლის აჯანყება, 1832 წლის შეთქმულება, 60-იანი და მისი შემდგომი წლების ეროვნული მოძრაობანი და სხვა/.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დაამხო მეფის ბიუროკრატიული იმპერია, რომლის ეროვნულ მხარეებში მძლავრად დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები; მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საქართველო. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რასაც ქართველი ხალხი, საქართველოში მცხოვრები პროგრესულად მოაზროვნე სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები აღფრთოვანებით შეხვდნენ. ეს იყო ქართველი ხალხისათვის უდიდესი ისტორიული მოვლენა როდესაც მიღწეულ იქნა სანუკვარი ოცნება-დამოუკიდებლობა.

დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო იურიდიულად და ფაქტიურად სცნო მსოფლიოს 22-მა ქვეყანამ /გარკვეულად მცირე დროში/, მათ შორის საბჭოთა რუსეთმაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რომელიც უნდა გამხდარიყო საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების, სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური სისტემების მქონე ამ ორი ქვეყნის ხანგრძლივი მშვიდობიანი თანაარსებობისა და მყარი სამართლებრივი საფუძველი. სამწუხაროდ, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებამ ძალზე მოკლე ხანს, სულ რაღაც 9 თვის მანძილზე იარსება და იმოქმედა. 1921 წლის თებერვალში რუსეთის ჯარები შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხებით, მისი დამხობითა და საბჭოთა სისტემის შემოღებით დამთავრდა საქართველოში. მაშასადამე, საბჭოთა რუსეთის მოქმედება დემოკრატიული საქართველოს მიმართ შეიძლება შეფასდეს როგორც პირდაპირი აგრესია რომელიც დამთავრდა საქართველოს სრული ოკუპაციით. ყოველივე ამის შემდეგ, 1921 წლის 16 მარტს, რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკასა და ქემალისტებს /თურქეთის მაშინდელი გამგებლები/ შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება,- რომლის ერთ-ერთ მიზანს დემოკრატიული საქართველოს გაყოფა წარმოადგენდა. ამ ხელშეკრულების წყალობით, საქართველომ დაკარგა არტაანის, ართვინის, არდაგანისა და ოლთისის ოლქები,- რომელთა საერთო ფართობი 12 115 კვ.კმ-ს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 164 000 კაცს. თურქეთი საქართველოს უთმობდა რა სუვერენიტეტს ქალაქ ბათუმზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, იგი მოითხოვდა აღნიშნული მხარისათვის ადგილობრივი ავტონომიის მიცემას. ეს მოთხოვნა პირნათლად შეასრულეს. უსამართლოდ და ყოველგვარი კანონის დარღვევით მსოფლიო ისტორიაში პირველად მისცეს სახელმწიფოს კუთხეს ავტონომია /ისიც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით/ მხოლოდ სარწმუნოების ნიშნით. ასე შეიქმნა ე.წ. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 1921 წელს საქართველოს საზიანოდ გადაწყდა სასაზღვრო დავა მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანთან. ბორჩალოს მაზრის სადავო ნაწილი - 3 182 კვ. კმ. სომხეთს გადაეცა, ხოლო ზაქათალის ოლქი - 3 564 კვ.კმ.



აზერბაიჯანს. ამის შემდეგ საქართველოს კანონიერი მთავრობისა და ქართველი ხალხის დაუკითხავად, მათი ინტერესების გაუთვალისწინებლად საქართველო შეყვანილ იქნა ე.წ. ამიერკავკასიის სფსრ-ში, ხოლო მისი საშუალებით, 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგაც არ ჩამქვდარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა,- რასაც უსწორდებოდნენ საერთაშორისო-სამართლებრივი კანონმდებლობის ყოველგვარი დარღვევით, ადამიანური ღირსების შელახვით. "საბჭოთა" საქართველოში ქართველმა ხალხმა უმიზეზოდ, "ზევიდან"რეპრესიების გზით - დაკარგა მრავალი ათასი ადამიანი,- რომლებიც შეეწირნენ უსამართლობას, განუკითხაობას,- იმპერიალისტური წრეებისა და შოვინისტური ძალების არაადამიანურ მოქმედებებს. ყოველივე ამან საქართველო მიიყვანა უფსკრულის წინაშე, გადაგვარებისა და მოსპობის საფრთხის წინაშე, რისი საფუძველიც დაგვიმტკიცა საქართველოს მთავრობის სასახლის წინამდებარე მოედანზე 1989 წლის 9 აპრილს, გამთენიისას მშვიდობიანი მომიტინგეებისა და მოშიმშილეების წინააღმდეგ /რომელთა მოთხოვნები სამართლიანი და კანონიერი იყო/ დატრიალებულმა სისხლიანმა აქციამ; მის შემდეგ შექმნილმა ქვემო ქართლის, აფხაზეთის და სხვათა ამბებმა.

ყოველივე ამას ითვალისწინებს რა - საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მყარად დგას თავის პოზიციაზე და უკომპრომისოდ მოითხოვს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რაც ჩვენის აზრით არის ერთადერთი გზა - საქართველოს, ქართველი ხალხის გადარჩენისათვის, მისი შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის.

იმის გამო, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ერთიანი ქართული ორგანიზმი /ე.ი. მთელი ქართველი ხალხი/ დაიყო კლასებად, ფენებად, სოციალურ და სხვადასხვა ჯგუფებად, და რომ დღევანდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოითხოვს მათ სულიერ, მორალურ და პოლიტიკურ გაერთიანებას,- დავით გარეჯელის საზოგადოება თავის რიგებში გააერთიანებს ნებისმიერი კლასის, ფენის, პარტიულობის - ჭეშმარიტ პატრიოტ ადამიანებს; აგრეთვე იგი არ ზღუდავს პროგრესულად მოაზროვნე და საქართველოს კეთილდღეობისათვის მიწოდებულ არაქართველებს.

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, ქრისტიანულ, თავისუფალ საქართველოს!

თამარ ღვთისავრიშვილი. დგს გამგეობის წევრი.

**თანამემამულენო !**

დავით გარეჯელის საზოგადოებაში გაწევრიანება ხდება წერილობითაც, ფოსტის საშუალებით. ყველა დგს წევრი გადაიხდის საწევროს 5 /ხუთ/ მანეთს ოდენობით ჩვენი შტაბ-ბინის მისამართით. ასევე, ყველა წევრი, ფოსტით მიიღებს ჩვენს გაზეთს /რომელიც გამოვა თვეში ორჯერ- ან სამჯერ/ და სხვადასხვა ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში დეპეშებს ან წერილებს ინფორმაციისათვის ან რაიმე აქციაზე დასწრებისათვის. ჩვენი შტაბ-ბინის მისამართია: საქართველო, 383200, სადგურის ქ.16-16, ბ-16-19. დგს. გოდერძი გოდერძიშვილს.

სარედაქციო კოლეგია.